

719
1933



Г.П.Б. в ЛНГР
Г. 1934 г.
Акт № 114



ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუხათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1933 წლის აპრილის 30	№ 8-9 განცოცვილჟმა პირჟლო	ა/კსფსრ სახალხო კომისარ- თა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.
-------------------------	------------------------------	--


შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- მუხ. 67. საძვრების სარგებლობისათვის საიჯარო განაკვეთის გადიდებისა და, ამასთან დაკავშირებით, „საძვრების სარგებლობისათვის საიჯარო განაკვეთების დაწესების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 30-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.
- 68. „სამინდე გამოსაღების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.
- 69. კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაფინანსებისათვის ცენტრალური კომუნალური ბანკის სპეციალურ კაპიტალებში კომუნალურ საწარმოთა შემოსავლიდან მიზნობრივი ანარიტეტების გადადების შესახებ.
- 70. შრომის გმირთა შესახებ.
- 71. ადგილობრივი ფინანსების დებულების 22 მუხლის დამატების შესახებ.
- 72. ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის საბჭოს ლიკვიდაციის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- 73. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით მალა-რიასთან ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- 74. ა/კსფსრ-ში 1933 წლის მოსავლის ყვითელი თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ.
- 75. იონჯის სათესლე ბაზისის მოწყობის შესახებ.
- 76. 1933 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.
- 77. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს მეცხვრეულობის ხაზით საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- 78. ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებისა, უწყებებისა და ა/კსფსრ მდგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ 1933 წელს კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ექსპლოატაციის დაწყების თაობაზე წარმოდგენის შესახებ.
- 79. სასოფლო მეურნეობის სფეროში—კერძოდ საგაზაფხულო თესვის კამპანიის ხაზით—ობერატიული ანგარიშგების შთანერგვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- 80. შრომისა და სამუშაო ხელფასის ფონდების დაგეგმვის წესის შესახებ.



81. ა/კსფსრ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის 1933 წლის გეგმის შესახებ.

82. 1933 წელს ადგილობრივი საშენი მასალის წარმოებისა და გაიაფების გეგმის აღსრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

67. საძოვრების სარგებლობისათვის საიჯარო განაკვეთის გადიდებისა და, ამასთან დაკავშირებით, „საძოვრების სარგებლობისათვის საიჯარო განაკვეთების დაწესების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 30-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1933 წლის საგაზაფხულო სეზონიდან გადიდებულ იქნეს საიჯარო სასყიდელი საძოვრების სარგებლობისათვის 100 %-ით და, ამისდაშესაბამისად, მე-2 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 30-ის დადგენილებისა „საძოვრების სარგებლობისათვის საიჯარო განაკვეთების დაწესების შესახებ“ (ა/კსფსრ. კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 93) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაწესებულ იქნეს საიჯარო სასყიდლის შემდეგი ძირითადი განაკვეთები საძოვრების კატეგორიების მიხედვით 1 ჰექტარზე:

I	კატეგორიის საზაფხულო საძოვრებისათვის	3 მან. და 80 კაბ.
II	„ „ „	2 მან. და 55 კაბ.
III	„ „ „	1 მან. და 60 კაბ.
I	„ ზამთრის „	3 მან. და 20 კაბ.
II	„ „ „	2 მან. და 25 კაბ.
III	„ „ „	1 მან. და 30 კაბ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ს. თოდუა.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

68. „სამინდგე გამოსაღების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 9-ის დადგენილების შესაბამისად, რომლითაც შეცვლილია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილება „სამინდგე გამოსაღების შესახებ“, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

მე-2, 3 და 9 მუხ. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილებისა „სამინდგე გამოსაღების შესახებ“ ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. 26 №-ი, მუხ. 205) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამინდგე გამოსაღებისაგან—ნატურით—დაფქვისა და გადამუშავებისათვის განთავისუფლდება მხოლოდ ის მარცვლეული, რაც მიღებულია საგემომომარაგების წესით „ზაგოტზერნოს“ სრულიად საკავშირო შენაერთის განწყესებით“.

„3. სამინდგე გამოსაღების განაკვეთებს (1933 წლის იანვრიდან) მარცვლეულის დაფქვისა და ბურღულად გადამუშავებისათვის ცალკეული საადმინისტრაციო-ტერიტორიალური ერთეულების ხაზით და დაფქვისა და გადამუშავების ცალკეული სახის მიხედვით, ამტკიცებს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭო, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის წარდგენისამებრ.

1933 წლისთვის თვითეული ცენტნერი დასაფქველი მარცვლეულის სამინდგე გამოსაღების განაკვეთები, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული, განისაზღვრება შემდეგი რაოდენობით:

ხორბლისა	7 ¹ / ₂ კილოგრამი
ბრინჯისა	10 ”
სიმინდისა	10 ”
ქერისა	10 ”
საზეთე თესლეულისა	20 ”

„9. მიღებული სამინდგე გამოსაღების უკანონო დახარჯვისათვის კერძო საწარმოს პატრონი და მოიჯარე, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოს თანამდებობის პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებისა „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360).

სამინდევ გამოსაღების წესების სხვაგარი დარღვევისათვის (გამოსაღების გადაუხდევენებლობა, სასყიდლის ფულად გადახდევენება, ერთი კულტურის მეორე კულტურად შეცვლა და სხვა მისთ.) კერძო საწარმოს პატრონი და მოიჯარე პასუხს აგებს სისხლის სამართლის ან საადმინისტრაციო წესით, ხოლო სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოს თანამდებობის პირი—სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით, ა/კსფსრ შედეგებლობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად.

ამის გარდა, იმ კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელსაც ეკუთვნის საწარმო, სადაც მოხდა სამინდევ გამოსაღების წესების დარღვევა, აგრეთვე კერძო საწარმოს პატრონს და მოიჯარეს გადაჰხდება, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამხადებათა კომიტეტის ორგანიზების განკარგულებისამებრ, ჯარიმა ნატურალური ფორმით (მარცვლად) სამინდევ გამოსაღების იმ რაოდენობის ფარგლებში, რაც სახელმწიფოს დააკლდა.

შენიშვნა. სათანადო შემთხვევაში გადახდევენებული ფულადი ჯარიმის 75%-ი დანიშნულია წისქვილების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, ხოლო დანარჩენი 25%-ი მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში“.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაი

1933 წ. მარტის 4.

ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

69. კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაფინანსებისათვის ცენტრალური კომუნალური ბანკის სპეციალურ კაპიტალებში კომუნალურ საწარმოთა შემოსავლიდან მიზნობრივი ანარიცხების გადაღების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 8-ის თარიღის და 58/1932 №-ის დადგენილების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1933 წ. იანვრის 1-დან კომუნალურ საწარმოთა (ტრამვაი, წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროსადგური, ელექტროქსელი) საერთო შემოსავლიდან მიზნობრივი ანარიცხების გადაღება ცენტრალური კომუნალური ბანკის სპეციალურ კაპიტალებში.

2. ამ ანარიცხების საშუალო განაკვეთები განისაზღვროს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი ცალკეული რესპუბლიკებისა და დედა-ქალაქებისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილ კომუნალურ საწარმოთა სახეების კვალობაზე, შემდეგი რაოდენობით:

ს ა წ ა რ მ ო ნ ი	ა ქ ე დ ა ნ									
	ა/კფსრ-ში საშუალოდ	ა.ბ. სსრ-ში უბაქოლდ	ბაქოში	სულ ა.ბ. სსრ-ში	სომხ. სსრ-ში უფერინო	ერივანში	სულ სომხეთი, სსრ-ში	საქ. სსრ-ში უტფლისოდ	ტფილისში	საქარბ. სსრ-ში სულ
ტრამვაი	13,8	12,5	13,7	13,7	—	14,6	14,6	—	14,0	14,0
წყალსადენი და კანალიზაცია	13,5	12,5	13,7	13,6	—	14,7	14,2	11,0	13,9	13,1
ელექტროსადგური და ელექტროქსელი	11,4	14,0	10,0	11,0	14,0	10,0	11,8	14,0	10,0	11,7
საშუალოდ ყველა ჩამოთვლილ საწარმოთათვის	13,3	13,3	13,3	13,3	13,3	13,3	13,3	13,3	13,3	13,3

3. დაწესებულ იქნეს 1933 წ. იანვრის 1-დან ცენტრალური კომუნალური ბანაკის სპეციალურ კაპიტალებში ანარიცხების გადადება 40%-ის რაოდენობით იმ შენატანებიდან, რაც ადგილობრივ საბჭოებს შეაქვთ სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო და საკონტორო სადგომების საიჯარო ქირის ხაზით ქალაქებისა, მუშათა დაბებისა, საკურორტო დაბებისა და საავარაკო დაბების საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალებში („მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულები“ მე-16 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტები.— სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-ი, მუხ. 84 და „სამუშე ბინათმშენებლობის დაკრედიტებისათვის არსებული სპეციალური კაპიტალებისა და ფონდების გამოყენების გეგმების შედგენისა, დამტკიცებისა და აღსრულების წესის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების მე-11 მუხლის „გ“ და „ე“ პუნქტები—ა/კფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 118).

4. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაამტკიცონ ორი დეკადის ვადაზე, ამა დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, სათანადო რესპუბლიკის ცალკეული ქალაქებისათვის დიფერენცირებული ანარიცხების განაკვეთები, რაც გადადებულ უნდა იქნეს ცენტრალური კომუნალური ბანაკის სპეციალურ კაპიტალებში.

5. წინადადება მიეცეს ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს უმოკლეს ვადაზე ინსტრუქცია ცენტრალური კომუნალური ბანაკის სპეციალურ კაპიტალებში გადასადები ანარიცხების გადახდევინების წესისა და ვადების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

7. ამა დადგენილების განსავეითარებლად „სამუშე ბინათმშენებლობის და-კრედიტებისათვის არსებული სპეციალური კაპიტალებისა და ფონდების გამო-ყენების გეგმების შედგენისა, დამტკიცებისა და აღსრულების წესის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების მე-11 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 118) დაემატოს შე-ნიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ამა მუხლისა „გ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული ანარიცხე-ბიდან 1933 წ. იანვრის 1-დან გამოიყოფა 40%-ი ცენტრალური კომუნა-ლური ბანკის სპეციალურ კაპიტალებში“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1933 წ. მარტის 4.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

70. შრომის გმირთა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. შრომის გმირის წოდება შეიძლება მიენიჭოს ისეთ პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება წარმოებისა, სამეცნიერო მოღვაწეობისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სამსახურის სფეროში და რომელსაც უმუშავ-ნია დაქირავებით არა ნაკლებ 35 წლისა.

შენიშვნა 1. შრომის გმირის წოდების მინიჭება სამხედრომსახურისა-თვის მოხდება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრე-ზიდიუმის დადგენილებით სსრკ-ის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სა-ხალხო კომისარის წარდგენისამებრ.

შენიშვნა 2. დაქირავებით მუშაობის სტაჟის გამოთვლის დროს წი-თელი არმიის რიგებში გატარებული დრო არ გამოირიცხება.

შენიშვნა 3. განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის გმირის წოდება შეიძლება მიენიჭოს ისეთ პირსაც, რომლსაც არა აქვს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული შრომის სტაჟი, ხოლო, ამასთანავე, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით უაღრესი და სერიოზული დამსახურება შრომის ფრონტზე.

2. შრომის გმირის წოდების მინიჭება მოხდება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით—ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარდგენისამებრ.

შენიშვნა. შრომის გმირს შეიძლება ჩამოერთვას ეს წოდება მხოლოდ იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც მიანიჭა მას შრომის გმირის წოდება.

3. შუამდგომლობა ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინაშე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ—აღიძვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პლენუმის დადგენილებით, რაც შეიძლება გამოტანილ იქნეს საკუთარი ინიციატივით ან სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინაშე (მუხ. 3) შუამდგომლობის აღძვრის წესს ამყარებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

5. იმ შრომის გმირს, რომელმაც იმუშავა დაქირავებით არა ნაკლებ 35 წლისა, ეძლევა სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ პენსია სრული სამუშაო ხელფასის სამი-მეოთხედის რაოდენობით მისი შრომის უნარიანობისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად.

უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს მუშაობას დაქირავებით, მას ეძლევა აღნიშნული პენსიის ნახევარი.

იმ შრომის გმირს, რომელმაც იმუშავა დაქირავებით 35 წელზე ნაკლებ ხანს, პენსია აღნიშნული რაოდენობით, მისი ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ეძლევა იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი მიკუთვნებულია ინვალიდობის ერთ-ერთი პირველი ჯგუფისათვის.

შენიშვნა 1. შრომის გმირის პენსიის გამოთვლის საფუძვლად მიიღება მისი სრული საშუალო თვიური სამუშაო ხელფასი იმ სამი საკალენდრო თვისა, რაც წინ უძღოდა მისთვის შრომის გმირის წოდების მინიჭებას, ან სამი უკანასკნელი თვე მისი დაქირავებით მუშაობისა, უკეთუ იმ დროს, როდესაც მას შრომის გმირის წოდება ენიჭება, იგი არ მუშაობს. ხოლო, უკეთუ შრომის გმირი განაგრძობდა მუშაობას დაქირავებით ამ წოდების მინიჭების შემდეგ და იღებდა ერთი წლის განმავლობაში ისეთ



სამუშაო ხელფასს, რაც აღემატება ზემოაღნიშნულ საშუალო თვიურ სამუშაო ხელფასს, პენსიის გამოთვლის საფუძვლად მიიღება მისი ახალი სამუშაო ხელფასი.

შენიშვნა 2. შრომის გმირს იმ პირთაგან, რომლებზედაც ვრცელდება დებულება „საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირებისა, ზევადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა და მერიგეთა შედგენილობის პირებისა და მუშათა და გლეხთა არმიის სამხედრო საპაეოო ძალების სკოლათა კურსანტებისა და აგრეთვე მათი ოჯახების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 119), უფლება აქვს მიიღოს პენსია 30 წლის და მეტი ხნის ნამსახურობის მქონე პირთა თანაბრად, (დებულების 27 მუხ.), მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში ნამსახურობის ვადის მიუხედავად.

უკეთეს შრომის გმირი განაგრძობს სამსახურს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში თუ რეზერვში, ან მუშაობს დაქირავებით, მას ეძლევა, მიუხედავად მისი ხვედრი ფულადი კმაყოფისა საშტატო თანამდებობის კვალობაზე, ნახევარი პენსია.

6. შრომის გმირის სიკვდილის ან უგზო უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში მის რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან „სოციალური დაზღვევის წესით პენსიისა და დახმარების დანიშვნის შესახებ დებულების“ მე-5 მუხლში (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 132), ეძლევათ პენსია, რაც უნდა შეადგენდეს, როდესაც უზრუნველსაყოფია სამი ან მეტი პირი, — შრომის გმირის სრული პენსიის ორმესამედს, როდესაც უზრუნველსაყოფია ორი პირი — ნახევარ პენსიას, ხოლო როდესაც უზრუნველსაყოფია ერთი პირი — ერთ მესამედს.

პენსია აღნიშნული რაოდენობით ეძლევათ აგრეთვე იმ გარდაცვალებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგული შრომის გმირის ოჯახის წევრებს, რომელსაც ეძლეოდა ნახევარი პენსია ან იგი სრულიად არ ეძლეოდა.

7. შრომის გმირი განთავისუფლებულია სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადისაგან, უკეთეს მისი წლიური შემოსავალი არ აღემატება 6.000 მან., ხოლო უკეთეს შემოსავალი ამაზე მეტია, დასაბეგრი შემოსავლიდან გამოირიცხება 6.000 მან.

შრომის გმირის პენსია არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხას, რაც გამოანგარიშებულია იმ მეურნეობისათვის, რომლის შედგენილობაშიაც შედის შრომის გეირი, გამოაკლდება 20%-ი.

8. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდენტებს — დააწესონ შრომის გმირებისათვის საბინაო ან სხვა შეღავათები.

9. იმ შრომის გმირს, რომელსაც ეს წოდება მიენიჭა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის დადგენილებით, აქვს ა/კსტსრ ფარგლებში ყველა ის შეღავათი და უპირატესობა, რაც დადგენილია

შრომის გმირებისათვის ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზედაც იგი მუდმივ ცხოვრობს.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

ა/კფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1933 წ. მარტის 17.

ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

71. ადგილობრივი ფინანსების დებულების 22 მუხლის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 22 მუხლს (ა/კფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 № ი, მუხ. 697) დაემატოს პუნქტი „ზ¹“, 1, 2 და 3 ლიტერებით შემდეგი შინაარსისა:

(22. სათანადო ადგილობრივი საბჭოს სახსარში მიიქცევა შემდეგი შემოსავალი:)

„ზ¹) ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყეების სარგებლობისა:

1) გასაცემი მერქნის საძირე სასყიდელი და სასყიდელი ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყის არაპირდაპირი სარგებლობისათვის;

2) ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყეებში წესების დარღვევისათვის სასამართლო ან საადმინისტრაციო წესით გადახდევინებული ფულადი თანხები;

3) ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყეებში წესების დარღვევის დროს ჩამორთმეული მერქანის გაყიდვით მიღებული თანხები“.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1933 წ. მარტის 17.

ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

72. ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის საბჭოს ლიკვიდაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ლიკვიდირებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის საბჭო.

2. ამიერკავკასიის საბჭოს ფუნქციები—ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საქმისათვის მეთვალყურეობისა, კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაწევა—გადაეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგემო კომისიას.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაია.

1933 წ. მარტის 17.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

73. 1933 წლის საგაზაფხულო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით მალარიასთან ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის სამალარიო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი სამალარიო დაწესებულებათა ქსელის 1933 წლის გეგმა; წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველყონ ამ ქსელის გაშლა მიმდინარე წლის პირველ-სავე კვარტალში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მაქსიმალური მომსახურეობის გასაწევად.

2. წარმოდგენილი 1934 წლის გეგმის დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს ა/კსფსრ ხაზით 8.575.000 მან. რაოდენობით; აქედან: სახელმწიფო ბი-

უჯეტი — 2.215.000 მან., ადგილობრივი ბიუჯეტი — 1.700.000 მან., სოციალური დაზღვევის ხაზით — 4.500.000 მან. და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ხაზით — 160.000 მან.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — განსაზღვრონ დაინტერესებული სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა დაფინანსების რაოდენობა და ერთი დეკადის ვადაზე ამ დაფინანსების გეგმა წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. ავიატრექვევის ფართობი განისაზღვროს 13.600 ჰექტარით; აქედან — აზერბაიჯანის სსრ-ში — 10.000 ჰექტარი; სომხეთის სსრ-ში — 2.000 ჰექტარი და საქართველოს სსრ-ში — 1.600 ჰექტარი.

5. დაევალოს მალარიან ადგილებში მომუშავე სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს (საბჭოთა მეურნეობებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და სხვა მისთ.) — ჩაატარონ თავიანთი ხარჯით შემდგევი სამუშაოები, რაც მიმართულია მალარიასთან ბრძოლისათვის:

ა) იმ წვრილ-წვრილი დაქაობებული ადგილების დაშრობა, რაც მალარიის ბუდეს წარმოადგენს;

ბ) მალარიის მხრით საშიშ წყალსტევათა დანავთიანება, დამაზუთება ან ხელით მიწის ზედაპირის წამალმოყრა;

გ) სარწყავი და საშრობი სისტემების სასანიტარო-ტექნიკური მდგომარეობის სათანადოდ გაუმჯობესება;

დ) კოლოს კენისაგან მუშების დაცვისათვის მექანიკურ ღონისძიებათა განხორციელება („პოლოგიზაცია“, შემობადვა და სხვა მისთ.);

ე) ბონიფიკატორების მოსამზადებლად სპეციალურად გამოყოფილ პირთა იმ მოკლევადიან კურსებზე გაგზავნა, რასაც მოაწყობენ ჯანმრთელობის ორგანოები ტროპიკულ დაწესებულებებთან;

ვ) სამალარიო დაწესებულებებისათვის დაბალი ტენკური პერსონალის მიჩენა საბონიფიკაციო მუშაობის ჩასატარებლად;

ზ) სპეციალური ტროპიკული დაწესებულებებისა და მათი პერსონალის საჭირო სადგომებით, მაგარი ინვენტარით და აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფა სამკურნალო და პროფილაქტიკური მუშაობის ჩასატარებლად.

6. პერსონალური პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარებისა და ჯანმრთელობის ორგანოებთან საჭირო ხელშეკრულებათა დადებისათვის დაეკისროს საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სხვა მისთ. დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს. ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება განხორციელებულ უნდა იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან შეთანხმებით.

7. გაშლილ იქნეს ფართო მუშაობა კოლექტიური მეურნეობებისა და დასახლებული პუნქტების გასაჯანსაღებლად პროფილაქტიკური მუშაობის მასშურად ჩატარებით მშრომელი მასსების თვითმოქმედების ბაზისზე, ჯანმრთელობის სა-

ხალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით.

8. მუღმივი კვალიფიციური ბონიფიკატორების კადრების შექმნისა—კოლმეურნეთათვის მომსახურეობის გასაწევად—და მათი მუშაობის სტიმულირების მიზნით, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა კოლექტიური მეურნეობებიდან გამოყოფილ იქნენ კოლმეურნენი, მუღმივი ბონიფიკატორების სახით, და მათი მუშაობა ჩაითვალოს შრომა-დღეებად კოლექტიურ მეურნეობაში.

ამა მუხლის განსავეითარებლად ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, ამიერკავკასიის სამალარო კომიტეტთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს სათანადო ცირკულარი ერთი დეკადის ვადაზე.

9. მალარიასთან ბრძოლის საზით მოსაქმე მედმომუშავენი და ბონიფიკატორები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მომარაგების სფეროში ინდუსტრიალური მუშების თანაბრად (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 11-ის დადგენილების თანახმად); მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა გამოჰყოს სათანადო ფონდები.

10. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა სათბობი მასალის საქმეთა კომიტეტმა უნდა გამოჰყოს საჭირო რაოდენობის ნავთის პროდუქტები ამიერკავკასიის სამალარო კომიტეტის მიერ გეგმის წარდგენისამებრ, ამ პროდუქტების გაცემის ადგილისა და დროის აღნიშვნით.

11. ეთხოვოს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—ა/კ. სამალარო კომიტეტთან ერთად:

ა) შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი მალარიასთან ბრძოლის საქმეში მუშათა ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის;

ბ) უზრუნველჰყოს მასური მუშაობის სათანადო გეგმის საბჭოთა მეურნეობებამდე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე და საწარმოებამდე მიწვდენა.

12. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებმა და სამალარო კომიტეტებმა უნდა გააზუსტონ მარტის 1-თვის მალარიასთან ბრძოლის გეგმა რაიონობით, 1933 წ. სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით, და მხედველობაში მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება და დაფინანსება, აგრეთვე სამეურნეო ორგანოებთან ხელშეკრულებათა საბოლოო გაფორმება.

კონკრეტული გეგმები მიწვდენილ უნდა იქნეს საბჭოთა მეურნეობებამდე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე და სათანადო ტროპიკულ დაწესებულებებამდე ა/წ. მარტის 10-თვის.

13. ა/კ. სამალარო კომიტეტის დირექტივების საფუძველზე სამალარო კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ კონკრეტული სანიტარული მინიმუმი დიდი საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლექტიური მეურნეობებისათვის და გამოსცენ ინსტრუქციები ამ სანიტარული მინიმუმის განხორციელებისათვის.

14. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა მოისმინონ ა/წ. მაისის დასაწყისში სამალარო კომი-

ტეტების სპეციალური მოხსენებანი მალარიასთან ბრძოლისათვის საჭირო მეშა-
ობის მიმდინარეობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუხაბეგოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი

1983 წ. თებერვლის 20.
№ 523.
ტფილისი.

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.**

**74. ა/კსფსრ-ში 1933 წლის მოსავლის ყვითელი თამბაქოს კონტრაქტაციის
შესახებ.**

ა/კსფსრ-ში ნარგავი თამბაქოს ფართობების ზრდას ამ უკანასკნელ წლებში
თან როდი სდევდა თამბაქოს სასაქონლო პროდუქციის ზრდა და თვისების გა-
უმჯობესება, თესვის და რგვის ვადების გაჭიანურებისა, ნათესის ცუდად დამუ-
შავებისა და მოსავლის აღების დროს დიდი დანაკლისების გამო.

ვინაიდან მეთამბაქოობის ძირითად ამოცანას შეადგენს მოსავლიანობის
გადიდება და თამბაქოს პროდუქციის თვისების გაუმჯობესება, ა/კსფსრ სახალ-
ხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. 1933 წლის მოსავლის ყვითელი თამბაქოს საერთო რაოდენობა, რაც
უნდა მიღებულ იქნეს კონტრაქტაციით, დამტკიცებულ იქნეს 15.405 ტონნად,
აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	2.000	ტონნა.
სომხეთის სსრ-ში	1.700	”
საქართველოს სსრ-ში (უაფხაზეთოდ)	4.375	”
აფხაზეთის ავტ. სსრ-ში	7.330	”
ა/კსფსრ-ში	15.405	ტონნა

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული რაოდენობის თამბაქოს ნედლეულის კონტრა-
ქტაციით უზრუნველსაყოფად თამბაქოს სარგავი ფართობი ა/კსფსრ-ში განისა-
ზღვროს 24.000 ჰექტარით; თანაც კონტრაქტაციით ჩასაბარებელი ნედლი თამბა-
ქოს საშუალო რაოდენობა ჰექტარზე განისაზღვროს: კოლექტიური მეურნეობებისა-
თვის 6,3 ცენტნერით, ხოლო ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეო-
ბებისათვის—5,6 ცენტნერით და ეს რესპუბლიკებზე განაწილებულ იქნეს შემდეგ-
ნაირად:

რესპუბლიკები	საერთო სარგავი ფართობ. ჰექტარობით	კონტრაქტაციით ჩასაბარებელი საშუალო რაოდენობა ჰექტარზე (ცენტნერობით).	
		კოლექტ. მეურნეობ.	ინდივიდ. მეურნეობ.
აზერბაიჯანის სსრ	3.000	6,6	6,9
სომხეთის სსრ	2.800	6,0	6,8
საქართველოს სსრ (უაფხაზეთოდ).	6.200	6,8	7,5
აფხაზეთის ავტ. სსრ	12.000	5,7	6,4
ა/კსფსრ	24.000	6,3	6,6

ამის გარდა, თამბაქოს სარგავი ფართობი „სოიუზტაბაკსიროს“ საბჭოთა მეურნეობისა სომხეთის სსრ-ში—250 ჰექტ.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა სამი დღის ვადაზე უნდა გაანაწილონ 1933 წლის მოსავლის თამბაქოს რგვისა და კონტრაქტაციის რესპუბლიკანური გეგმები რაიონებსა და სექტორებზე; უზრუნველჰყონ თამბაქოს სარგავი ფართობების განწესება უმთავრესად ძირითად რაიონებში, მათი სხვა, შრომატევადი ტექნიკური კულტურებით დაუტვირთავად, და ერთი კვირის ვადაზე უზრუნველჰყონ ამ გეგმების რაიონებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ მეურნეობებამდე მიწვდენა. დასაკონტრაქტებელი თამბაქოს რაოდენობის რაიონობითი დაყოფა უნდა მოხდეს ჩასაბარებელი თამბაქოს საშუალო რესპუბლიკანური ნორმის დიფერენციაციის საფუძველზე რაიონებისა და ბოტანიკური ჯიშის მიხედვით.

4. თამბაქოს კონტრაქტაცია კულაკურ მეურნეობებში არა სწარმოებს; მათ ეძლევათ მტკიცე დავალებანი თამბაქოს რგვისა და ჩაბარებისათვის.

5. მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის წასახალისებლად უფლება მიეცეს კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს—მოახდინონ მთლად იმ ზედმეტი თამბაქოს თავისუფალი რეალიზაცია, რაც მათ დარჩებათ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ჩაბარების შემდეგ.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით თამბაქოს ჩაბარების შემდეგ დარჩენილი ზედმეტი თამბაქოს თავისუფალი რეალიზაციის უფლება კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს უნდა მიეცეს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც თამბაქოს ნედლეულის კონტრაქტაციით ჩაბარების გეგმა შესრულებულ იქნება რესპუბლიკებში მთლიანად.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს, რომ იმ კოლმეურნეებს, რომელნიც უშუალოდ მუშაობდნ თამბაქოზე, მიეცეს კოლექტიური მეურნეობის მიერ ზედმეტი თამბაქოს გაყიდვით მიღებული თანხის არა ნაკლებ 50%-ისა.

6. დაწესებულ იქნეს ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის საშუალო რაოდენობა მანეთობით დაკონტრაქტებული პროდუქციის ტონნაზე:

აზერბაიჯანის სსრ-ში	450 მან.
სომხეთის სსრ-ში	500 „
საქართველოს სსრ-ში (უაფხაზეთოდ)	450 „
აფხაზეთის ავტ. სსრ-ში	650 „
<hr/>	
ა/კსფსრ-ში	548

გათვალისწინებულ იქნეს ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის რაოდენობა:
 ა) კოლექტიური მეურნეობებისათვის—30%-ით მეტი, ვიდრე ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობებისათვის;

ბ) საექსპორტო რაიონებსა და ბუდეებში—25%-ით მეტი, ვიდრე სხვა რაიონებში.

ავანსების გაცემის ვადები განისაზღვროს საწარმოო პროცესების ჩატარების ვადების შესაბამისად:

1/3—თებერვალსა და მარტში ნერგის განსამზადებლად;

1/3—აპრილის ბოლოს და მაისში—რგვისთვის;

1/3—ივლისში დამუშავებისა და მოსავლის აღებისათვის.

7. დაწესებულ იქნეს დაქონტრაქტებული მეთამბაქოების მეურნეობათა პურეული პროდუქტებით მომარაგება მტკიცე სახელმწიფოებრივი ფასების კვალობაზე შემდეგი ნორმების მიხედვით (ცენტნერობით) დაქონტრაქტებული ნედლეულის ტონნაზე:

აზერბაიჯანის სსრ-ში	10 ცენტნერი
სომხეთის სსრ-ში	10 „
საქართველოს სსრ-ში (უაფხაზეთოდ)	10 „
აფხაზეთის ავტ. სსრ-ში	15 „
<hr/>	
ა/კსფსრ-ში	12,3 ცენტნერი

გათვალისწინებულ იქნეს თამბაქოს კონტრაქტაციისათვის გასაცემი პურის ნორმა:

ა) კოლექტიური მეურნეობებისათვის—30%-ით მეტი, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობისათვის;

ბ) საექსპორტო რაიონებში და ბუდეებში—10%-ით მეტი, ვიდრე დანარჩენი რაიონებისათვის.

პურეული პროდუქტებით მეთამბაქოეთა მომარაგება სწარმოებს ყოველთვიურად გამოყოფილი კონტინგენტების ფარგლებში; ამასთანავე, 1933 წლის პირველნახევარ წელს პურეული პროდუქტები შემოზიდულ უნდა იქნეს ამ მიზნისათვის წლიური გეგმის 33%-ის რაოდენობით.

აღნიშნული მიზნობრივი დანიშნულების მქონე პურეული უნდა მიეცეს კოლმეურნეობაში მხოლოდ იმათ, ვინც თამბაქოზე მუშაობს, ნამუშევარი შრომა დღეების რაოდენობის შესაბამისად.

ჩაბარებული ყვითელი თამბაქოს თვისების გაუმჯობესებისათვის გასაცემი პურის პროდუქტების რაოდენობა გადიდებულ იქნეს 15%-დ დაწესებული ნორ-

რამების ზედმეტად, ხოლო თვისების დადაბლებისათვის შეფარდებულ იქნეს დაწესებული ნორმის დაკლება 15%-დე.

8. თამბაქოს რგვისა, დამუშავებისა, მოსავლის აღებისა და დამზადების სტიმულირებისათვის დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—უზრუნველჭყოს სამრეწველო საქონლის თავის დროზე შემოზიდვა დაწესებული კონტინგენტების ფარგლებში, მეთამბაქოობის მეურნეობებისათვის მისაყიდად.

შემოზიდული სამრეწველო საქონელი უნდა იყოს სპეციალურად საგლეხო ასსორტიმენტისა და ამისათვის მიღებულ უნდა იქნეს ვარაუდში იმ რაიონების ნაციონალური და საყოფაცხოვრებო თავისებურებანი, სადაც საქონელი უნდა შეიზიდოს.

9. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განაწილოს არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 5-სა მეთამბაქოობის ხაზით 1933 წელს საკოლმეურნეო სექტორში მოსათავსებელ კაპიტალდაბანდებათა განსაზღვრული რაოდენობა რესპუბლიკებზე და უზრუნველჭყოს პირველყოელისა საექსპორტო და ახალი რაიონების მქონე რესპუბლიკები.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოჭყონ მათი რესპუბლიკებისათვის დადგენილი საშენი მასალის ლიმიტებიდან სპეციალური ფონდები სათამბაქო მშენებლობის საჭიროებად და უზრუნველჭონ, რომ მეთამბაქოობისათვის განსაზღვრული ფონდების არა ნაკლებ 30%-სა გამოყოფილ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 5-სა.

11. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს ტრაქტორცენტრების რესპუბლიკანურ ორგანოებში, რომელნიც მომსახურეობას უწევენ მეთამბაქოობის კოლექტიურ მეურნეობებს, სპეციალური სათამბაქო სექციები და უზრუნველჭყოს სამანქანო-სატრაქტო სადგურებისათვის საჭირო სააგრო-საწარმოო პერსონალის გამოყოფა.

12. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჭყოს, რათა იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, სააგრო-საწარმოო დახმარება გაუწიონ სათანადო რესპუბლიკანურმა ტრაქტორცენტრებმა, ხოლო იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ, და ინდივიდუალურ მეურნეობებს ეს მომსახურეობა გაუწიონ საადგილმამულო ორგანოებმა; თანაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სპეციალიზირებული აგრომომსახურეობის გაწევა თამბაქოს კულტურისათვის.

13. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა უზრუნველჭყონ სპეციალიზირებული აგროსაწარმოო მომსახურეობის გაწევა თამბაქოს კულტურისათვის იმ სახსარიდან, რაც ვადადებულია რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტით აგრომომსახურეობისათვის, და აგრეთვე მრეწველობის სახსარით, რასაც გამოჭყოფს ხოლმე „სოიუზტაბაკსირის“ გამგეობა თვითეული რესპუბლიკისათვის საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.



რმების ზედმეტად, ხოლო თვისების დადაბლებისათვის შეფარდებულ იქნეს დაწესებული ნორმის დაკლება 15%-დე.

8. თამბაქოს რგვისა, დამუშავებისა, მოსავლის აღებისა და დამზადების სტიმულირებისათვის დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—უზრუნველჰყოს სამრეწველო საქონლის თავის დროზე შემოზიდვა დაწესებული კონტინგენტების ფარგლებში, მეთამბაქოობის მეურნეობებისათვის მისაყიდად.

შემოზიდული სამრეწველო საქონელი უნდა იყოს სპეციალურად საგლენხო ასსორტიმენტისა და ამისათვის მიღებულ უნდა იქნეს ვარაუდში იმ რაიონების ნაციონალური და საყოფაცხოვრებო თავისებურებანი, სადაც საქონელი უნდა შეიზიდოს.

9. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განაწილოს არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 5-სა მეთამბაქოობის ხაზით 1933 წელს საკოლმეურნეო სექტორში მოსათავსებელ კაპიტალდაბანდებათა განსაზღვრული რაოდენობა რესპუბლიკებზე და უზრუნველჰყოს პირველყოვლისა საქსპორტო და ახალი რაიონების მქონე რესპუბლიკები.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოჰყონ მათი რესპუბლიკებისათვის დადგენილი საშენი მასალის ლიმიტებიდან სპეციალური ფონდები სათამბაქო მშენებლობის საჭიროებად და უზრუნველჰკონ, რომ მეთამბაქოობისათვის განსაზღვრული ფონდების არა ნაკლებ 30%-სა გამოყოფილ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 5-სა.

11. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს ტრაქტორცენტრების რესპუბლიკანურ ორგანოებში, რომელნიც მომსახურეობას უწევენ მეთამბაქოობის კოლექტიურ მეურნეობებს, სპეციალური სათამბაქო სექციები და უზრუნველჰყოს სამანქანო-სატრაქტო სადგურებისათვის საჭირო სააგრო-საწარმოო პერსონალის გამოყოფა.

12. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს, რათა იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, სააგრო-საწარმოო დახმარება გაუწიონ სათანადო რესპუბლიკანურმა ტრაქტორცენტრებმა, ხოლო იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ, და ინდივიდუალურ მეურნეობებს ეს მომსახურეობა გაუწიონ საადგილმამულო ორგანოებმა; თანაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სპეციალიზირებული აგრომომსახურეობის გაწევა თამბაქოს კულტურისათვის.

13. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა უზრუნველჰყონ სპეციალიზირებული აგროსაწარმოო მომსახურეობის გაწევა თამბაქოს კულტურისათვის იმ სახსარიდან, რაც გადაღებულია რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტით აგრომომსახურეობისათვის, და აგრეთვე მრეწველობის სახსარით, რასაც გამოჰყოფს ხოლმე „სოიუზტაბაკსიოის“ გამგეობა თვითეული რესპუბლიკისათვის საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

14. „სოიუზტაბაკსირიოს“ გამგეობის მიერ სათანადო ტრაქტორცენტრების გაშვებებთან დადებული გენერალური შეთანხმების საფუძველზე, რომელი შეთანხმებაც ეხება იმ სათამბაქო ფართობების სააგრო-საწარმოო მომსახურებას, რვეას, დამუშავებას და დაკონტრაქტებული პროდუქციის ჩაბარებას, რაც ტრაქტორცენტრების ფარგალშია,—წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ „სოიუზტაბაკსირიოს“ რესპუბლიკანურ განყოფილებებს—დასდვან ამ შეთანხმების განსაზღვრებლად, არა უგვიანეს 1933 მარტის 5 სა, ლოკალური ხელშეკრულებანი რესპუბლიკანურ ტრაქტორცენტრებთან.

15. თამბაქოს კონტრაქტაციის ჩატარება კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში, ავანსების გაცემა, პურიტ მომარაგება და სააგრო-საწარმოო კონტროლი დაეკისროს „სოიუზტაბაკსირიოს“ რესპუბლიკანურ განყოფილებებს და მის ადგილობრივ ორგანიზებს, ხოლო აფხაზეთში—„აფთამბაქოს“. „სოიუზტაბაკსირიოს“ და „აფთამბაქოს“ სისტემები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს როგორც იმ კოლექტიურ მეურნეობებთან, რომელთაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, ისე იმ კოლექტიურ მეურნეობებთან, რომელთაც ეს სადგურები მომსახურებას არ უწევენ, დასდებენ უშუალოდ.

16. დაევალოს „სოიუზტაბაკსირიოს“ რესპუბლიკანურ განყოფილებებს—უზრუნველჰყონ თესლის შემოზიდვა თამბაქოს რვეის გეგმების შესასრულებლად არაუგვიანეს მარტის 15-სა.

17. თამბაქოს კონტრაქტაცია დაწყებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 1-სა და დამთავრდეს არა უგვიანეს 1933 წ. აპრილის 15-სა; ამასთანავე, ფართოდ გაშლილ იქნეს მასსური აღსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1933 წ. თებერვლის 28.

ტიფლისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსში.

75. იონჯის სათესლე ბაზისის მოწყობის შესახებ.

აღსანიშნავია-რა, რომ რესპუბლიკანურმა და სარაიონო ორგანიზაციებმა 1932 წელს ჩაიდინეს უხეში შეცდომა მით, რომ სათანადოდ ვერ შეაფასეს ბალახის თესვის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და მეცხოველეობის განვითარების საქმეში, რომ არ იხმარეს არავითარი ღონისძიება იონჯის და სხვა ბალახების სათესლეების დაცვისთვის, რომ წინ



ვერ აღუდგენენ კულაკების საბოტაჟს, რაც მიმართული იყო ბალახის თესვის საქმის სავენებლად, და რომ, ამის გამო, ჩიიშალა საკუთარი ბალახთა სათესლე ბაზისის განვითარების საქმე, — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — დაავალონ რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, „სოიუზსემენოვოდის“ განყოფილებებს და ტრაქტორცენტრებს:

ა) გააზუსტონ ერთი დეკადის ვადაზე არამეთესლეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში 1929, 1930, 1931 და 1932 წლების იონჯით ნათესი ფართობები და ამ ბალახის ყველა ფართობიდან გამოჰყონ არა ნაკლებ 10⁰/₆-სა სათესლეებისათვის;

ბ) მოაწყონ ამ ფართობების განსაკუთრებული დაცვა საქონლის მიშვებით წახდენისა და თივად მოთიბისაგან;

გ) ჩაატარონ არა ნაკლებ, ვიდრე თვეში ერთხელ თიბვის პერიოდამდე და არა ნაკლებ, ვიდრე დეკადაში ერთხელ თიბვის პერიოდში კონტროლი სათესლეების მდგომარეობისათვის;

დ) პასუხისმგებლობა სათესლეების შენარჩუნებისა და დაცვისათვის დააკისრონ: სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონებში — ამ სადგურების დირექტორებს, იმ რაიონებში, რომელნიც სამანქანო-სატრაქტორო სადგურებით მოცული არ არ არიან, — სპეციალურად გამოყოფილ პირებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — მათ დირექტორებს.

2. წინადადება მიეცეს „ა/კ. ჯიშთესლტრესტს“, მისი დირექტორის ამხ. ჯაფარიძის პირადი პასუხისმგებლობით, მოაწყოს „ა/კ. ჯიშთესლტრესტის“ საბჭოთა მეურნეობებში წარსული წლების იონჯის ნათესთა სასტიკი დაცვა 1701 ჰექტარ ფართობზე (აზერბაიჯანის სსრ-ში — 1619 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში — 82 ჰექტ.) და უზრუნველჰყოს აქ მოსავლის აღება საჭირო მანქანებით და მუშა-ხელით.

3. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, „სოიუზსემენოვოდის“ განყოფილებებს და ტრაქტორცენტრებს:

ა) გააზუსტონ ერთი დეკადის ვადაზე მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობებში 1929/32 წლების იონჯით ნათესი ფართობები;

ბ) მოაწყონ ამ ფართობების განსაკუთრებული დაცვა საქონლის მიშვებით წახდენისა და თივად მოთიბვისაგან;

გ) ჩაატარონ არა ნაკლებ, ვიდრე თვეში ერთხელ თიბვის პერიოდამდე და არა ნაკლებ, ვიდრე დეკადაში ერთხელ თიბვის პერიოდში კონტროლი სათესლეების მდგომარეობისათვის.

დ) პასუხისმგებლობა სათესლეების შენარჩუნებისა და დაცვისათვის მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებში დააკისრონ პერსონალურად კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს.

4. წინადადება მიეცეს „ა/კ. ჯიშთესლტრესტს“, მისი დირექტორის ამხ. ჯაფარიძის პასუხისმგებლობით, დათესოს ახლად 1933 წ. გაზაფხულზე „ა/კ. ჯიშ-

თესლტრესტის“ საბჭოთა მეურნეობებში იონჯა სათესლედ 230 ჰექტარ ფართობზე (აზ.სსრ-ში—200 ჰექტ. და საქ. სსრ-ში—30 ჰექტ.).

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — განიხილოს და დაამტკიცოს 1933 წ. მარტის 10 დღე:

ა) 1929/32 წლების იონჯით ნათესი გაზუსტებული ფართობები მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებში და გამოყოფილი იონჯის სათესლების რაიონობითი განაწილება;

ბ) 1929/33 წლების იონჯის სათესლეების გაზუსტებული ფართობები მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებში;

გ) 1933 წ. გაზაფხულზე მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებში სააესლედ დასათესი იონჯის ნათესების საბოლოო გეგმები.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიანდონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) გამოსცენ ერთი თვის ვადაზე ნაციონალურ ენებზე ბროშურები იონჯის სათესლედ თესვის აგროტექნიკის შესახებ.

ბ) ჩაატარონ ყველა იმ რაიონში, სადაც იონჯა ითესება, მასსური აღსნაგანმარტებითი კამპანია იონჯის მნიშვნელობის შესახებ.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედებისა და მომარაგების სახალხო კომისარიატებს—შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე იონჯის სათესლენათესების კონტრაქტაციის პირობები და გეგმა და უზრუნველჰყონ კონტრაქტანტების პურით მომარაგება.

8. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების შესაბამისად—იონჯის მთესველნი, რომელნიც ეწევიან მეთესლეობას და თესლს აბარებენ სახელმწიფოს, გათანაბრებულ იქნენ ბამბის მთესველებთან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შეღავათებისა და სასურსათო საქონლით მომარაგების სფეროში.

წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს—იხმაროს ღონისძიებანი თავის დროზე პურეულის შემოსაზიდად, რათა ამ პურით უზრუნველყოფილ იქნენ იონჯის თესლის მწარმოებელი კოლექტიური მეურნეობანი და ინდივიდუალური მეურნეობანი შემდეგი ანგარიშის კვალობაზე: ერთ ცენტნერ იონჯის თესლზე—ნახევარი ცენტნერი პურეული.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

დადგენილება ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

76. 1933 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

„1933 წელს ბამბის თესვისა და კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წლის თებერვლის 11-ის თარიღის და 149 №-ის დადგენილების შესაბამისად ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კფსრ კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებში 1933 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა დამტკიცებულ იქნეს 143.330 ტონნას რაოდენობით; აქედან:

რ ე ს უ ბ ლ ი კ ე ბ ი	ს უ ლ	აქედან კოლ. მეურნეობებში, რომელთაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორული სადგურები უწყვედ.
აზერბაიჯანის სსრ-ში	119.200	92.500
სომხეთის სსრ-ში	14.630	8.130
საქართველოს სსრ-ში	9.500	4.500
ა/კფსრ-ში	143.330	105.230

შენიშვნა. 143.330 ტონნას კონტრაქტაციის გეგმაში არ შედის სამანქანო-სატრაქტორული სადგურების ნატურალური სასყიდელი მათ მიერ გაწეული მუშაობისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაანაწილონ სამი დღის ვადაზე ბამბის კონტრაქტაციის გეგმები რაიონებზე და სექტორებზე და მიაწვდინონ ადგილებამდე.

3. ნედლი ბამბის კონტრაქტაცია და ყველა ანგარიშის გასწორება საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების კვალობაზე როგორც კოლექტიურ მეურნეობებთან, ისე ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებთან დაეკისროს „ზაგოტხლოპოკის“ სისტემას, დამმზადებელი პუნქტების მეშვეობით.

4. დამმზადებელი პუნქტები სდებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს კოლექტიურ მეურნეობებთან კოლექტიური მეურნეობის საწარმოო-სამეურნეო გეგმისა და კოლექტიური მეურნეობისა და სამანქანო-სატრაქტორული სადგურის საწარმოო შეთანხმების საფუძველზე.

ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებთან დამმზადებელი პუნქტები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს სდებენ თანხმად წარდგენილი და სასოფლო საბჭოს მიერ დამოწმებული ინდივიდუალურ მთესველთა სიისა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს ბამბის ნათესი ფართობის ოდენობა.

5. კულაკურ მეურნეობებში ბამბის კონტრაქტაცია არა სწარმოებს. კულაკური მეურნეობანი აბარებენ სახელმწიფოს ბამბას სასოფლო საბჭოების

მტკიცე დავალებების საფუძველზე და იგი კონტრაქტაციის გეგმაში არ ითვლება.

იმ კულაკურ მეურნეობათა სიას, რომელთაც ჩაბარდათ მტკიცე დავალებანი, სასოფლო საბჭო გადასცემს სათანადო დამზადებელ ზუნქტს.

6. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება დაწყებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს არა უგვიანეს ა/წ. მარტის 25-სა.

7. დაწესებულ იქნეს ვასაცემი (მტკიცე სახელმწიფო ფასად მიყიდვა) პურეულისა, მცენარეული ზეთისა, კოპტონისა და ქულა-ბაშბის შემდეგი ნორმები ერთ ცენტნერ ჩაბარებულ ნედლ ბამბაზე (კილოგრამობით):

ბამბის ჯიშები.	პური	მცენარეული ზეთი	კოპტონი	ქულა-ბამბა
ა) ამერიკული ჯიშისა (საყამირო, სათესლე, გადასარგავი ნათესი) საშუალოდ	55	1	2	0,5
ბ) ვეგეტური ჯიშისა (საყამირო ნათესი)	130	2	4	0,5

8. კოლექტიურ მეურნეობებს მე-7 მუხლში ჩამოთვლილი ნორმირებული პროდუქტები და აგრეთვე ჩაი და შაქარი უნდა მიეცეს (მიეყიდოს) 30%-ით მეტი, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობებს.

კოლექტიური მეურნეობებისათვის მისაცემი (მისაყიდი) იმავე პროდუქტების ნორმები გადასარგავი კულტურისათვის გადიდებულ უნდა იქნეს 1,7-ჯერ და მეთესლეობის ნათესისათვის—1,95-ჯერ შედარებით იმ ნორმებთან, რაც დადგენილია ინდივიდუალურ სექტორში საყამირო ნათესისათვის.

9. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ სატრაქტორო მუშაობისათვის მიღებული ბამბა არ დაისაქონდება.

10. დაწესებულ იქნეს პროდუქტების გადიდებული ნორმით მიცემა იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, შედარებით იმ კოლექტიურ მეურნეობებთან, რომელთაც ეს სადგურები მომსახურებას არ უწევენ.

მიენდოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—გამოსცეს ინსტრუქცია იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, ნორმირებული პროდუქტების მიცემის წესისა და რაოდენობის შესახებ.

11. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—გაანაწილოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის ყველა ის სასაქონლო და ფულადი ფონდი, რაც დანიშნულია 1933 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციისათვის, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის ხვედრითი წონა სექტორების მიხედვით.

12. დაწასებულ იქნეს ნორმირებული პროდუქტების—პურის, ზეთის, კობტონის და ქულა-ბამბის—გაცემის შემდეგი ვადები და რაოდენობა:

ა) პურისა: საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გასაცემი მთელი რაოდენობის 10%-ი—ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ; 12%-ი—დათესვისა და ჯეჯილის ფაქტიური შემოწმების შემდეგ; 15%-ი—პირველი გამარგვლის ჩატარებისა და ფაქტიური შემოწმების შემდეგ; 10%-ი—მესამე გამარგვლის ჩატარებისა და ფაქტიური შემოწმების შემდეგ; დანარჩენი, გასაცემი პურის წლიური ნორმის 53 პროცენტი გაიცემა რეალიზაციის პერიოდში ბამბის ჩაბარების კვალობაზე, ისეთი ვარაუდით, რომ გაცემული პური არ აღემატებოდეს დადგენილ წლიურ ნორმას;

ბ) კობტონისა: ხვედრი რაოდენობის 50%-ი—ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ და 50%-ი სარეალიზაციო კამპანიის პერიოდში ნედლი ბამბის ჩაბარების კვალობაზე;

გ) მცენარეული ზეთისა: 25%-ი—ჩატარებული თესვის და ჯეჯილის შემოწმების შემდეგ; 25%-ი—მეორე გამარგვლის შემდეგ და დანარჩენი 50%-ი—სარეალიზაციო კამპანიის პერიოდში, ბამბის ჩაბარების კვალობაზე;

დ) ქულა-ბამბისა: ქულა-ბამბის გაცემა სწარმოებს რეალიზაციის პერიოდში ნედლი ბამბის ჩაბარების კვალობაზე.

პური, ზეთი, კობტონი და ქულა-ბამბა გაიცემა ანგარიშის ნაღდი გასწორებით.

13. ბამბის მთესველების პურით და კობტონით მომარაგება სწარმოებს „ზაგოტხლოპოკის“ სისტემის მეშვეობით.

შაქრით, ჩაით, ზეთით და ქულა-ბამბით მომარაგება სწარმოებს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მეშვეობით. ეს ნორმირებული საქონელი გაიცემა სპეციალური ორდერებით, რასაც დამუშავებული პუნქტები აძლევენ ბამბის მთესველებს მათ მიერ ცალკეული საწარმოო პროცესების შესრულებისას (ხვნა, თესვა, დამუშავება, მოსავლის აღება) საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების თანახმად.

14. ფულადი ავანსის საშუალო ნორმა ერთ ტონა დაკონტრაქტებულ ამერიკული ჯიშის ნედლ ბამბაზე დაწესებულ იქნეს 56 მანეთის რაოდენობით ხოლო ეგვიპტურ ჯიშებზე—112 მან. რაოდენობით.

ფულადი ავანსის ნორმა გადასარგველი კულტურის პროდუქციისათვის დაწესებულ იქნეს 1,3-ჯერ და მეთესლეობის ნათესის პროდუქციისათვის 1,5-ჯერ გადიდებული რაოდენობით საყამირო ნათესის პროდუქციის ნორმასთან შედარებით.

კოლექტიური მეურნეობებისათვის დაწესებულ იქნეს 30 პროცენტით გადიდებული ფულადი ავანსირება ინდივიდუალურ მეურნეობებთან შედარებით.

15. დაწესებულ იქნეს ფულადი ავანსების გაცემის შემდეგი რაოდენობა და ვადები:

ა) საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადების დროს—ნორმის 20 პროც.

ბ) ჩატარებული თესვისა და ჯეჯილის ფაქტიური შემოწმების შემდეგ—ნორმის 60 პროც.;

გ) მეორედ წარმოებული გამარგელისა და კულტივაციის შემოწმების შემდეგ—ნორმის 20 პროც.

16. დაევალოს „ზაგოტხლოპოკს“—ბამბის კონტრაქტაცია აწარმოოს კოლექტიური და ინდივიდუალური შრომის მეურნეობებისათვის ნისიად კეთილთვისებიანი და გაუმჯობესებული ხარისხის სათესი თესლის მიცემით ბოტანიკური ჯიშების დარაიონების გეგმების კვალობაზე, რაც მიუღებელია რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ თვითვეულ ჰექტარზე, შემდეგი ვარაუდით: ამერიკული ბამბისა აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ში—50 კილოგრ., სომხეთის სსრ-სა და ნახიჩევანის ავტ. სსრ-ში—55 კილოგრ., ეგვიპტური ბამბისა—45 კილოგრ.

17. საგასაცემო ფასი ამერიკული ჯიშების თესლზე დაწესებულ იქნეს 4 კაპ., ხოლო ეგვიპტური ჯიშების თესლზე—6 კაპ. რაოდენობით კილოგრამზე.

თესლის ღირებულება გასაცემი ფულადი ავანსის თანხაში არ ირიცხება და იგი გადახდევინებულ უნდა იქნეს სარეალიზაციო კამპანიის პერიოდში.

კულაქურ მეურნეობათ ამერიკული ჯიშის თესლი ეძლევათ ანგარიშის ნაღდი გასწორებით კილოგრამი 6 კაპიკად.

18. უკეთეს სათესი თესლი გამოყენებულ იქნა არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ (საქონლის გამოკვება, სხვაზე გაყიდვა, გაფუჭება და სხვა მისთ.), კონტრაქტანტები მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც სახელმწიფო ქონების დახარჯვისათვის.

19. დაევალოს „ზაგოტხლოპოკს“—თესვის მიზნებისთვის დანიშნული თესლის მთელი რაოდენობა, მარაგის დაბრონირებით (გარდათესვის შემთხვევისათვის, უვარგისზე გასაცვლელად და სხვა მისთ.), მიზიდოს დამზადების პუნქტებზე არა უგვიანეს ა/წ. მარტის 5-სა.

20. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების დირექციას—აძლიოს რიგს გარეშე და დაუტადებლად ვაგონები დამზადებელი პუნქტებისა და ბამბის ქარხნების განაცხადებით სათესლე მასალის გადასაზიდვად, და იხმაროს ლონის-დიებანი სათესლე მასალის სასწრაფოდ მიზიდვისათვის დანიშნულების ადგილებზე.

21. როგორც ფულადი, ისე ნატურალური ავანსების დაფარვა სწარმოებს მოსავლის რეალიზაციის პერიოდში; ამასთანავე, ამ ავანსებით დავალიანების დაფარვა ხდება ნეღდი ბამბის მიზიდვისა და ჩაბარების კვალობაზე ბამბის თვითვეული ჩაბარებული პარტიის ღირებულების 50 პროცენტის რაოდენობით 1933 წ. ოქტომბრის 10-დღე (ეგვიპტური ბამბისა—ოქტომბრის 20-დღე), ხოლო, ამ ვადის შემდეგ, დარჩენილი დავალიანება დაიფარება მთლად მიზიდული ბამბის პირველი პარტიებიდან ისეთი ვარაუდით, რომ ყველა ფულადი და პურის ავანსი მთლად განაღდებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 15-სა (ეგვიპტური ბამბის—არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 1-სა).

22. პერსონალური პასუხისმგებლობა ფულადი და ნატურალური ავანსების პირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვისათვის და აგრეთვე ამ ავანსების თავის დროზე განაღდებისათვის ეკისრებათ შემსყიდველი. პუნქტების გამგებებს და ბამბასაწმენდი ქარხნების დირექტორებს.



23. მიენდოს ა/კფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (ა/კფსრ სკს-თან) და ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირთან შეთანხმებით, განსაზღვროს ერთი დეკადის ვადაზე ა/კფსრ საბამზე რადიონებში შესაზიდი საქონლის რაოდენობა, ასსორტიმენტი და შეზიდვის საკალენდრო ვადები.

24. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ფაქტიური შესრულების (კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური შრომის მეურნეობების მიერ) შესამოწმებლად ბაზმის წარმოების პერიოდში—მოწყობილ იქნეს ადგილებზე კომისები სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე), დამზადებელი პუნქტის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის წარმომადგენელთა შედგენილობით.

25. უკეთუ გამოაშკარავებულ იქნა საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დარღვევა კონტრაქტანტების მიერ, შემოწმებელი კომისია შეადგენს გამოკვლევის აქტს და იქვე, ადგილობრივ, მიიღებს, სასოფლო საბჭოს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და კოლექტიური მეურნეობის გამგეობის მეშვეობით, ღონისძიებას აღმოჩენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა თავიდან ასაცილებლად.

უკეთუ შემოწმებელი კომისიის აქტით დადასტურებულ იქნა კონტრაქტანტ-მთესველების მიერ ცალკეულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა შეუსრულებლობა, დამზადებელი პუნქტი მოვალეა შეამციროს ფულადი და ნატურალური ავანსების რაოდენობა, საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დარღვევის ხასიათის მიხედვით.

უკეთუ მთესველი-კონტრაქტანტი (კოლექტიური მეურნეობა, ინდივიდუალური შრომის მეურნეობა) არ ასრულებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებას, ფულადი ავანსის, პურის და ნორმირებული პროდუქტების გაცემა ისპობა; ხოლო, უკეთუ შეუსრულებლობა ბოროტულია, ავანსირებისა და დასაქონლების მოსპობის გარდა, დამნაშავე აგრეთვე დაუყოვნებლივ მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

26. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა (ა/კფსრ სკს-თან), ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, უნდა გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე ინსტრუქცია, რომლითაც გაითვალისწინება შემოწმებელი კომისიების უფლება-მოვალეობანი და მუშაობის მოცულობა.

27. ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა საკონტრაქტაციო კამპანიის ჩატარებისათვის და სისტემატიური გამოშვება ჯუმლებისა და დგენილ ფორმებით და ვადებზე დაეკისროს „ზაგოტხლოპოკის“ სისტემას.

28. წარსულ, 1932, წელს ბაზმის კონტრაქტაციის ჩატარების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ როგორც საბამზე რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ისე ტრაქტორცენტრის და „ზაგოტხლოპოკის“ სისტემის ორგანიზაციები არასაკმარისი ყურადღებით და არა ჯეროვანი პასუხისმგებლობით უდგებოდნენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადებას და ხშირად მექანი-



კურად განსაზღვრავდნენ ხოლმე დასაკონტრაქტებელი ნედლეულის რაოდენობას; თანაც ხელოვნურად ჰქმნიდნენ ვითომდა ფაქტიურად ნათეს ფართობებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, გაფრთხილების მიზნით, წინასწარ აცხადებს, რომ ამგვარი შეუფასებლობა ისეთ სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო კამპანიისა, როგორც ბაზის კონტრაქტაციაა, შეუწყნარებელია და წინადადებას აძლევს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მობილიზებულჰყონ პასუხისმგებელ მომუშავეთა საჭირო რიცხვი და წარგზავნონ ისინი დამშაადებელი პუნქტების რაიონებში სარაიონო ორგანიზაციების დასახმარად და საკონტრაქტციო კამპანიის წესიერად მსვლელობისათვის მეთვალყურეობის გასაწევად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1933 წ. თებერვლის 28.
ტფილისი.

დადგინილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

77. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს მეცხოველეობის ხაზით საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ მეცხოველეობის წარმატების მიზნით, განსაკუთრებათ-კი მისი თვისებრივი მაჩვენებლებისა,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**გაზაფხულზე ხბოების და კვიცების მოგების და გოჭების დაყრის
კამპანიის ჩატარების შესახებ.**

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, მეცხოველეობის ტრესტების ღირექტორებს და მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების რესპუბლიკანური შენაერთების თავმჯდომარეებს—უზრუნველჰყონ ხბოებისა და კვიცების მოგების კამპანიის გაძლიერებით მსვლელობა და მოავარონ ცხენებისა, მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ცხვრისა და ღორის მთელი მონაშენის შენარჩუნება; შეამოწმონ არსებული დათბობილი სადგომები და იხმარონ საჭირო ღონისძიებანი სათბურებით მოზარდი საქონლის უზრუნველყოფისთვის არსებული შენობების მოგვარებით და დაშენებით;

ბ) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და სასაქონლო ფერმების შენაერთებს, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს—უზრუნველჰყონ, რათა მიმდინარე საგაზაფხულო კამპანიის დროს შემოღებულ იქნეს ნაჭრობითი სასყიდელი ყველა იმ სამუშაოსათვის, რასაც ასრულებენ მეცხოველეობის ბრიგადები, მიღებული პროდუქციის რაოდენობისა (რძე, მატყლი), ცოცხლადი წონის ნამატისა, ცხოველთა რიცხვის შენარჩუნების და სხვ მისთ. შესაბამისად;

გ) დაავალონ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეზე მიმაგრებული პერსონალი არაკეთილსინდისიერად მოეპყრობა ოთხფეხი საქონლის დაცვისა და მოვლის საქმეს, დაუყოვნებლივ აძლიონ დამნაშავენი პასუხისმგებლობის სისხლის სამართლის წესით და ქონებრივად;

დ) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, მეცხოველეობის ტრესტების დირექტორებს, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების შენაერთების თავმჯდომარეებს და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებების გამგეებს—შეამოწმონ და უზრუნველჰყონ საჭირო ვეტდახმარებით ხბოების მოგებისა და გოჭების დაყრის საგაზაფხულო კამპანია ა/წ. მარტის 1-დღე;

ე) დაეკისროს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და ფერმების გამგეებს პერსონალური პასუხისმგებლობა მთლად კამპანიის მსვლელობისა, სისტემატიური ანგარიშგებისა და აღრიცხვისა და ხბოების და კვიცების მოგების და გოჭების დაყრის კამპანიის მსვლელობისათვის.

დაგრილების კამპანიის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს—მოახდინონ ყველა სანაშენო საქონლის ზედმიწევნითი აღრიცხვა, იმისდამიუხედავად, სად და ვის ხელშია ეს საქონელი, და უზრუნველჰყონ მისი სრული დატვირთვა და მიაღწიონ ყველა დასამაკებლად ვარგისი დედა-საქონლის დაგრილებას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში;

კოლმეურნეების და ინდივიდუალური მშრომელი მეურნეების ოთხფეხი საქონლის დაგრილების კამპანიით სრულიად მოცვისათვის—მოწყობილ იქნეს საბჭოთა მეურნეობებთან და ფერმებთან საგრილობელი პუნქტები და აგრეთვე, სპეცტერინარო სამმართველოების ხელმძღვანელობით, ხელოვნური თესლჩასახვის პუნქტების ქსელი; ცხენებისა, მსხვილფეხა რქოსანი საქონელისა და ღორების დაგრილების კამპანიის გეგმა მიწვდენილ იქნეს ა/წ. მარტის 1-თვის ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე, ფერმებამდე და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებამდე, და უზრუნველყოფილ იქნეს ამ გეგმის ფართო დამუშავება საწარმოო თათბირებზე;

ბ) თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში, კოლექტიურ მეურნეობაში და სასოფლო საბჭოში გამოყოფილ უნდა იქნენ საგაზაფხულო დაგრილების კამპანიის ჩატარებისა და აღრიცხვისათვის პერსონალურად პასუხისმგებელი პირნი; რაიონში საერთო ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა საგაზაფხულო დაგრილების კამპანიისათვის დაეკისროს სარაიონო საადგილმამულო განყოფილებების გამგეებს;

გ) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ დაგრილების კამპანია მეცხენეობის ბაზით საგლეხო სექტორში, რისთვისაც გამოჰყონ ვარგისი („მოწონებული“) და დროებით მისაშვები ულაყები: აზერბაიჯანის სსრ-ში—1.400 სული, სომხეთის სსრ-ში—130 სული და საქართველოს სსრ-ში—680 სული, და გამოსცენ სპეციალური დადგენილება—მთელი დაგრილების კამპანიის განმავლობაში გამოყოფილი სანაშენო ულაყების სამუშაოდ გამოყენების სრულიად აკრძალვის შესახებ; თანაც განსაზღვრონ დაგრილების კამპანიის ზღვრული ვადები.

3. ა/კსფსრ-ში დაგრილების კამპანიის ჩატარებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა და პასუხისმგებლობა დაეკისროს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის სექტორის გამგეს, აზერბაიჯანის სსრ-ში—მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ჩაღიანს, სომხეთის სსრ-ში—მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. კოსტანიანს და საქართველოს სსრ-ში—მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. გვარამიას.

საინკუბატორო-საფრინველო სადგურებისა და საინკუბაციო კამპანიის შესახებ.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მაწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—გამოარკვიონ და მისცენ პასუხისმგებაში დივიჩისა, კუბისა, ყაზახისა, ახალბაიზეთისა, ლენინკანისა, ახტისა, ამამლის და სამტრედიის საინკუბატორო-საფრინველო სადგურებში 1932 წლის საინკუბაციო კამპანიის ჩაშლაში ნამდვილად დამნაშავე პირნი.

5. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილება საინკუბატორო-საფრინველო სადგურების 1933 წლის დავალებათა შესახებ და დატოვებულ იქნენ შემდეგი საინკუბატორო-საფრინველო სადგურები:

აზერბაიჯანის სსრ-ში—შამხორისა და ასტრახან-ბაზარის სადგურები, რომელთა საინკუბატორო პარკის საერთო ტევადობა განისაზღვროს 75 ათასი საკვერცხე ადგილით და საერთოდ 150 ათასი კვერცხის ჩაწყობით;

სომხეთის სსრ-ში—ლენინკანისა და ახალ-ბაიზეთის სადგურები, რომელთა საინკუბატორო პარკის საერთო ტევადობა განისაზღვროს 58 ათასი საკვერცხე ადგილით და საერთოდ 117 ათასი კვერცხის ჩაწყობით;

საქართველოს სსრ-ში—სამტრედიისა, გურჯაანისა და ზუგდიდის სადგურები, რომელთა საინჟინერო პარკის საერთო ტევადობა განისაზღვროს 75 ათასი საკვერცხე ადგილით და საერთოდ 75 ათასი კვერცხის ჩაწყობით,

საკომეურნეო-სასაქონლო ფერმების დაკომპლექტების შესახებ.

6. განისაზღვროს 1934 წ. იანვრის 1-თვის საკომეურნეო-სასაქონლო ფერმებში ოთფეხი საქონლის რაოდენობითი დაკომპლექტების შემდეგი გეგმა:

	ა. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
1. მერძეობის სასაქონლო ფერმებში (საერთო რიცხვი)	45.000	33.300	31.000	119500
აქედან ძროხები	17.000	14.000	13.700	44.400
2. მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში (საერთო რიცხვი)	110000	85.000	113000	308000
3. მელორეობის სასაქონლო ფერმებში (დედა-ღორები)	6.000	6.700	7.300	20.000
4. მეცხენეობის სასაქონლო ფერმებში (დედა-ცხენები)	1.400	970	550	2.920
5. მეფრინველეობის სასაქონლო ფერმებში (კვერცხმდებელნი)	7.200	7.200	12.000	26.400
6. შინაური კურდღლის სასაქ. ფერმებში (საერთო რიცხვი)	2.000	1.000	1.000	4.000
7. მეფუტკრეობის სასაქონლო ფერმებში (სკები)	6.000	9.000	9.500	24.500

7. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების შენაერთებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს—უზრუნველყონ კოლექტიური მეურნეობებისა და სასაქონლო ფერმების საწარმოო გეგმების განსაზღვრულ ვადაზე შედგენა; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუდმივი საწარმოო ბრიგადების მოწყობას, პროდუქციისა და შრომის აღრიცხვის წესიერად დაყენებას და თვისებრივ მაჩვენებლებს (პროდუქტიუობის გადიდება, ნარჩენის შემცირება, მოზარდი საქონლის დაცვა და შენარჩუნება და სხვა მისთ.), აგრეთვე სახელმწიფოსათვის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმის მთლად და თავის დროზე შესრულებას.

ოთხფეხი საქონლის საკვეში ბაზისის განმტკიცებისა და გაფართოების შესახებ.

8. წინადადება მიექცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, მეცხოველეობის ტრესტებს, სასაქონლო ფერმების შენაერთებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარეებს—უზრუნველყონ საკვები

კულტურების საგაზაფხულო თესვის გეგმის მთლად შესრულება (სათესი ბალახი, სასილოსო თესვა და ფესვნარები).

ბ) დაავალონ მეცხოველეობის ტრესტებს და მეცხოველეობის ფერმების შენაერთებს—განსაზღვრონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნახირისათვის საჭირო საკვები—ისე, რომ საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის დროს გათვალისწინებულ იქნეს მოთხოვნილების საკუთარი საკვებით დაკმაყოფილება.

9. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს და წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 25-სა თივის აღებისა და სასილოსო კამპანიის 1933 წლის გეგმა.

10. დამტკიცებულ იქნეს 1933 წლის გაზაფხულზე გასაუმჯობესებელი ველებისა და საძოვრების ფართობთა შემდეგი რაოდენობა:

	სათიბი	საძოვარი
აზერბაიჯანის სსრ-ში	13.000 ჰექტ.	34.400 ჰექტ.
სომხეთის სსრ-ში	8.000 ”	30.400 ”
საქართველოს სსრ-ში	7.000 ”	34.400 ”
ა/კსფსრ-ში	28.000 ”	99.200 ”

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაპყონ ორი დეკადის ვადაზე ეს ფართობები მისაღებ ღონისძიებათა მიხედვით და სექტორებზე.

სახელმწიფო საძოვრების ფონდების მოსარგებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში შეტანილ უნდა იქნეს ვალდებულებანი საძოვრების გაუმჯობესებისათვის საჭირო მარტივ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რის აღსრულებაც შემდგომ უნდა შეამოწმონ სისტემატიურად საადგილმამულო ორგანოებმა.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ჩაატარონ ვეტპერსონალის გარდანაწილება ისეთი ვარაუდით, რომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო პერიოდში ყველა რაიონი უზრუნველყოფილ იქნეს ვეტერინარ-ექიმებით; მოახდინონ მთლად ცოცხალი საწვევი ძაღლის სულობითი სავეტერინარო გამოკვლევა საბჭოთა მეურნეობებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებში; მოაწესრიგონ სათანადოდ ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლექტიურ მეურნეობაში იზოლატორები, კარანტინები და ცხოველთა ჩასაფლობი ადგილები და უზრუნველყყონ ვეტპერსონალი საჭირო სამედიკო მასალით, ინსტრუმენტებით და ბიოპრეპარატებით.

კადრების შესახებ.

12. მოწყობილ იქნეს მეცხოველეობის ხასიათის ყველა კოლექტიურ მეურნეობაში და მეცხოველეობის ყველა საბჭოთა მეურნეობაში ზოო-ვეტწრეები, მათზე ზოოტექნიკოსებისა და ვეტექიმების მიმაგრებით, ამ წრეების მეცადინეობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ხუთი დღის ვადაზე უნდა შეიმუშაოს და მიაწოდოს ადგილებს კურსებისა და წრეების სასწავლო გეგმები და პროგრამები.

13. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და სასაქონლო ფერმების შენაერთებს—უზრუნველჰყონ მასსური კვალიფიკაციის კადრების (ფერმის გამგე, ბრიგადირი, მენახირე, მეჯოგე, მელორე, მეცხვარე, მესილოსე, მწველელი, მეხბოე და სხვ.) მომზადების გეგმების სავსებით აღსრულება, კოლმეურნე-დამკვრელთაგან და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო მომუშავეთაგან მტკიცე საკოლმეურნეო და სასაბჭომეურნეო კადრების შექმნით; ულმობელად გამოდევნონ საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლექტიური მეურნეობებიდან კულაკები, ყოფილი ოფიცრები, მღვდლები, მოღობი, ყოფილი ურიადნიკები და სხვა, ანტისაბჭოთა, და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების მოწინააღმდეგე ელემენტები, რომელნიც ცდილობენ შეიპარნენ კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მონაგარიშეთა, მნეთა, მესაწყობეთა და ბრიგადირთა სახით, რათა ჩაშალონ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი სოციალისტური მეცხოველეობის სფეროში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1933 წ. თებერვლის 15.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

78. ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებისა, უწყებებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ 1933 წელს კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ექსპლოატაციის დაწყების გეგმის წარდგენის შესახებ.

„უწყებებისა და რესპუბლიკების მიერ 1933 წელს კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ექსპლოატაციის დაწყების გეგმების წარდგენის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 27-ის თარიღის და 321 №-ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებს და უწყებებს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბ-

კოებს—წარმოუდგინონ, არა უგვიანეს ა/წ. მარტის 28-სა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგემო კომისიის მეშვეობით, 1933 წ. კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ექსპლოატაციის დაწყების გეგმა მთლად სახალხო მეურნეობის ხაზით, ამ გეგმის კვარტალებზე დანაწილებით, და გეგმაში ცკლკე გამოჰყონ:

1. ექსპლოატაციასა და დასაწყები ობიექტების საერთო თანხა, ზელიმიტურ და ქველიმიტურ სამუშაოებზე დანაწილებით;

2. ექსპლოატაციასა და დასაწყები ზელიმიტური ობიექტების ნუსხა, რომელშიაც უნდა აღინიშნოს:

ა) 1933 წელს ექსპლოატაციასა და დასაწყები ნაწილის ღირებულება;

ბ) 1933 წელს ექსპლოატაცია და დასაწყები ნაწილის ძალოვნება;

გ) 1933 წელს ექსპლოატაცია და დასაწყები ობიექტის მიერ მოსაცემი პროდუქციის მოცულობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1933 წ. მარტის 21.

№ 525.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსში.

79. სასოფლო მეურნეობის სფეროში—კერძოდ სავაზაფხულო თევის კამპანიის ხაზით—ოპერატიული ანგარიშგების შთანერგვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

აღსანიშნავია—რა, რომ სასოფლო მეურნეობის სფეროში—კერძოდ, სავაზაფხულო თევის კამპანიის ხაზით—ოპერატიული ანგარიშგების შთანერგვა ხორციელდება მეტისმეტად სუსტად, რომ სარაიონო ორგანიზაციები სათანადოდ არ აფასებენ ამ ანგარიშგების უაღრეს სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობას და რომ ადგილებზე სააღრიცხვო პერსონალის აპარატი (საბჭოთა მეურნეობებსა, სახანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებში) ძლიერ შერეულია სოციალურად უცხო ელემენტებით, —ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დააჩქარონ კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში მონაგარიშე პერსონალის განმტკიცებისა და შემოწმებისათვის საჭირო სამუშაოები—ისეთი ვარაუდით, რომ თესვის დაწყებისათვის ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფილ იქნენ მთლად შემოწმებული კადრებით;

ბ) შეამოწმონ და განამტკიცონ ერთი დეკადის ვადაზე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები შემოწმებული კვალიფიციური სა-აღრიცხვო მომუშავეებით.

გ) უზრუნველყონ ოპერატიული ანგარიშგების შევსებული ფორმების წარდგენა სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებზე, დააკისრონ-რა პასუხისმგებლობა მისაწოდებელი ცნობების თავის დროზე წარდგენისა და სისწორისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგვემო კომისიას—უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის ქალაქით ოპერატიული ანგარიშგების ფორმები ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ქალაქის თაობაზე დასაბუთებული განაცხადის წარდგენისათანავე.

3. თესვის კამპანიის ანგარიშგების ფორმების ბეჭდვა უნდა სწარმოებდეს რიგს გარეშე, რისთვისაც დაევალოს „სოიუზოგუჩოტის“ რესპუბლიკანურ განყოფილებებს დაბეჭდონ ერთი დეკადის ვადაზე, ხოლო რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—სასწრაფოდ მიაწოდონ სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს ოპერატიული ანგარიშგების ფორმები.

4. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ სასოფლო საბჭოების მიერ, მათთვის დადგენილი ფორმებით, ჯუმლების თავის დროზე წარდგენა, სისრულე და სისწორე.

ჯუმლების შედგენა სასოფლო საბჭოებში დაეკისროს სასოფლო საბჭოების მდივნებს, რომელნიც სააღრიცხვო სამუშაოების ჩატარების ხაზით მთლად უნდა დაექვემდებარნენ საადგილმამულო განყოფილებებს ადგილებზე.

პასუხისმგებლობა აღრიცხვის თავისდროულობისა, სისტემატიურობისა, ამომწურავი სისრულისთვის და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებში წარსადგენი ცნობების სისწორისათვის დაეკისროს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს.

5. დაევალოს ა/კსფსრ მიწათქმომედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) შეადგინონ და მიაწოდონ ერთი დეკადის ვადიზე ადგილებს პოპულარული ენით დაწერილი მოკლე ინსტრუქცია სააღრიცხვო აპარატის ყველა რგოლულისათვის—ცნობების შეკრებისა, ფორმების შევსებისა და ჯუმლების წარმოების შესახებ;

ბ) მოაწყონ თავიიანთ სისტემის ხაზით სააღრიცხვო აპარატის ყველა რგოლულის ინსტრუქტაჟი და სააღრიცხვო საქმის მდგომარეობის სისტემატიური

შემოწმება; თანაც მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება აღრიცხვის დარგის მომუშავეთა მომზადებას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობაში, აგრეთვე სასოფლო საბჭოების მდივანთა მომზადებას;

გ) ა/კსფსრ-ში მოსავლიანობის გამომრკვევი სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების მოწყობისათანავე—წარუდგინონ თესვის საქმეთა კომიტეტს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობების დაზომვის ჩატარებისა და აგრეთვე მოსავლის ობიექტური ცვლილების საორგანიზაციო გეგმა და პროგრამა;

დ) უზრუნველყონ, რომ როგორც ა/კსფსრ-ისა, ისე რესპუბლიკების ყველა საუწყებო ორგანიზაციამ თავის დროზე წარუდგინოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სავაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული ცნობები.

6. კატეგორიულად აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას სასოფლო მეურნეობის ხაზით მოსაქმე ქვედა სააღრ-ცხვო მომუშავეთა მობილიზაცია და სხვა ისეთ სამუშაოზე წარგზავნა, რაც დაკავშირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობის აღრიცხვასთან.

7. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) უზრუნველყოს თავისი ხაზით რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისაგან, განათლების სახალხო კომისარიატებისაგან და მომარაგების სახალხო კომისარიატებისაგან, აგრეთვე სხვათაგან თესვის კამპანიის შესახები ყველა საჭირო სააღრიცხვო ცნობების მიღება დადგენილი ფორმებით;

ბ) დაუყოვნებლივ დააკომპლექტოს და განაპტიცოს რაიონები სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორით—დამტკიცებული საშტატო ერთეულების ფარგლებში.

მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—საესებით ხელი შეუწყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს საჭირო მომუშავეებით რაიონების დაკომპლექტებისა და განმტკიცების საქმეში.

8. დავეალოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველყონ რესპუბლიკანურ ბიუჯეტებში სარაიონო სადგილმამულო განყოფილებებთან სარაიონო ინსპექტორების შენახვა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში-

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი



დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

80. შრომისა და სამუშაო ხელფასის ფონდების დაგეგმვის წესის შე- სახება.

„მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის ფონდების ხარჯვის მო-
წესრიგების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933
წლის თებერვლის 21-ის დადგენილების განსავითარებულად („სსრკ-ის ცენტრალური
კ-ტის იზვესტია“-ს 52 №-ი 1933 თებერვლის 22-სა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭო ადგენს:

1. დამყარებულ იქნეს შემდეგი სავალდებულო წესი შრომის დადგეგმვისა
(მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი, საშუალო სამუშაო ხელფასი, სამუშაო
ხელფასის ფონდები და შრომის ნაყოფიერება):

1. ამიერკავკასიის ყველა სახალხო კომისარიატი, ფედერატიული მნი-
შენელობის მქონე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორ-
განიზაცია, აგრეთვე ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატების არაქვემდებარე,
ხოლო ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედი ყველა საკავშირო ხელქვეითობის
უწყება და ორგანიზაცია მოვალეა, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში
პროდუქციის (ან სხვა საწარმოო მაჩვენებლების) წლიური და კვარტული გეგმების
წარდგენასთან ერთად, წარადგინოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში,
ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში, ა/კსფსრ ფინანსთა ხალხო კომისა-
რიატში და ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში მუშათა და მოსამსახურეთა
რიცხვისა, საშუალო სამუშაო ხელფასისა, სამუშაო ხელფასის ფონდებისა (დაფი-
ნანსების წყაროებზე დაყოფით) და შრომის ნაყოფიერების გეგმა მეურნეობის
ყველა დარგის ხაზით და ქვემდებარეობის სახეებზე დანაწილებით (საკავშირო,
ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი).

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგ-
მო კომისიები, შრომის სახალხო კომისარიატები და ფინანსთა სახალხო კომი-
სარიატები წარადგენენ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, შრომის სა-
ხალხო კომისარიატში და ფინანსთა სახალხო კომისარიატში მუშათა და მოსამ-
სახურეთა რიცხვისა, საშუალო სამუშაო ხელფასისა, სამუშაო ხელფასის ფონ-
დებისა (დაფინანსების წყაროებზე დაყოფით) და შრომის ნაყოფიერების გეგმებს
მეურნეობისა, კულტურისა და მმართველობის ყველა დარგის ხაზით და ქვემდე-
ბარეობის სახეებზე დანაწილებით (საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური
და ადგილობრივი).

ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, შრომის სახალხო კომისარიატში
და ფინანსთა სახალხო კომისარიატში შრომის გეგმის წარდგენასთან ერთად რეს-
პუბლიკანური გეგმები შეიტანება დასამტკიცებლად რესპუბლიკების სახალხო
კომისართა საბჭოებში.

რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების გადაწყვეტილებანი წარე-
დგინება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

3. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით, მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვისა, საშუალო სამუშაო ხელფასისა, სამუშაო ხელფასის ფონდებისა და შრომის ნაყოფიერების ჯუმლობითი გეგმას მთლიანად სახალხო მეურნეობის ხაზით.

4) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შრომის გეგმების დამტკიცებისას, სახელმწიფო საგეგმო კომისია, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი და ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარადგენენ ამ გეგმებს სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, შრომის სახალხო კომისარიატში და ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

5. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული წლიური და კვარტალური სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ლიმიტების მიღებისას:

ა) ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად წარსადგენ ოპერატიულ წლიურ და კვარტალურ სახალხო-სამეურნეო გეგმებში გამოჰყოფს სამუშაო ხელფასის წლიური და კვარტალური ფონდების ლიმიტებს თვითეული ფედერატიული უწყებისათვის ცალკე, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე მრეწველობისა და ადგილობრივი მეურნეობისათვის—სუმმარულად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ხაზით; ყველა ფედერატიული უწყება წარუდგენს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სამუშაო ხელფასის წლიური და კვარტალური ფონდების ლიმიტებს მეურნეობის დარგების მიხედვით და რესპუბლიკანური მასშტაბით, თანაც რესპუბლიკანური მრეწველობის სუმმარული ფონდების გამოყოფით;

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში ფედერატიული მრეწველობის მეურნეობის, და დარგების ხაზით სამუშაო ხელფასის ფონდების განხილვა და დამტკიცება (მოწესრიგება) დაეკისროს სათანადო სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთ, ხოლო რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის ხაზით—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს;

გ) ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად წარსადგენ წლიურ და კვარტალურ ბიუჯეტებში გამოჰყოფს განსაკუთრებულ გრაფად სამუშაო ხელფასის ფონდს ყველა იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხაზით, რომელიც დაფინანსდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით;

დ) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი წარუდგენს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნითურთ, შრომის ჯუმლობითს ოპერატიულ წლიურ და კვარტალურ გეგმებს სახალხო მეურნეობის ყველა სექტორის ხაზით.

II. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—მოაწყოს 1933 წლის დასაწყისიდან აღრიცხვა და ყოველთვიე შეადგინოს, დაწყებული 1933 წლის თებერვლის 1-დან, სამუშაო ხელფასის ფონდებისა, კონტინ-

გენტების რიცხვისა და საშუალო სამუშაო ხელფასის აღრიცხვის ჯუშმლები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხაზით. აღნიშნულ ჯუშმლებს ა/კფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო წარუდგენს ყოველთვე ა/კფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, შრომის სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

III. ამა დადგენილების განსავითარებლად ა/კფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, შრომის სახალხო კომისარიატმა და ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაონ ერთად ინსტრუქცია შრომის გეგმების წარდგენის წესის შესახებ.

IV. ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ სათანადო დადგენილებანი.

ა/კფსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კფსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1933 წ. მარტის 23
 ტფილისი.

**დადგენილება ა/კფსრ სახალხო კომისართა
 საბჭოსი.**

81. ა/კფსრ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის 1933 წლის გეგმის შესახებ.

„სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვის 1933 წლის გეგმის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 3-ის თარიღის და 355 №-ის დადგენილების შესაბამისად — ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის შემდეგი გეგმა 1933 წლისთვის (ათას ჰექტარობით):

კულტურების დასახელება	ა. სსრ	სფშ. სსრ	საქ. სსრ	აკსფსრ
სულ მარცვლეული	36,0	24,0	107,0	167,0
ა ქ ე დ ა ნ:				
ხორბალი	3,5	13,0	7,5	24,0
ქერი	6,3	9,5	8,2	24,0
შვრია	2,1	0,6	0,3	3,0
სიმინდი	—	—	90,0	90,0
ბრინჯი	14,0	—	—	14,0
სხვა მარცვლეული	2,6	0,9	1,0	4,5
ცერცვოვანი	7,5	—	—	7,5
სულ ტექნიკური	146,7	16,6	19,5	182,8
ა ქ ე დ ა ნ				
ბამბა	140,0	15,5	8,0	163,5
თამბაქო	0,8	—	4,6	5,4
ჭარხალი	—	0,1	2,9	3,0
ზეთოვანი	—	—	—	—
ხრალეული	5,9	1,0	4,0	10,9
სხვა ტექნიკური	—	—	—	—
ოთხფენი საქონლის საკვები	16,7	7,3	11,0	35,0
ბალჩები და ბოსტნები	8,9	2,5	5,6	17,0
კარტოფილი	2,0	1,2	3,0	6,2
ს უ ლ	210,3	51,5	146,1	408,0

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ტრაქტორცენტრებს—მიაწვდინონ დაუყოვნებლივ აღნიშნული ფართობების გეგმა რაიონებამდე და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1933 წ. მარტის 26.

№ 529.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

82. 1933 წელს ადგილობრივი საშენი მასალის წარმოებისა და გაიაფების გეგმის აღსრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. აღინიშნოს, რომ 1932 წელს ადგილობრივი საშენი მასალის შესახები პროგრამა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში განხორციელებულია თვალსაჩინო ნაკლებობით როგორც სახელმწიფო მრეწველობისა, ისე სარეწაო კოოპერაციის ხაზით (აგურის გეგმა შესრულებულია 36,4%-ით, კირისა—45,2%-ით, მინქაფა-პუცოლანისა—30,8%-ით, ნიჟაროვანი ქვისა—52,5%-ით, ალუბასტრისა—16,3%-ით და სხვა მისთ.); თანაც ა/კსფსრ-ში წარმოებული თითქმის ყველა სახის საშენი მასალის ფაქტიური თვითღირებულება თვალსაჩინოდ გადიდებულია საგეგმო თვითღირებულებასთან შედარებით (1.000 ცალი ტევრის აგურის ფაქტიური თვითღირებულება—176,8 მან. წინააღმდეგ საგეგმო ღირებულების 53,4 მან., კირისა—50,5 მან. წინააღმდეგ 28,5 მან. და სხვა მისთ.).

II. აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების ასეთი არა ნორმალური მდგომარეობის ძირითადი მიზეზებია:

ა) სუსტი ხელმძღვანელობის გაწევა საშენი მასალის მრეწველობისათვის სათანადო სახ. სამეურნეო ორგანიზაციების მიერ, რომელთაც ვერ მოახერხეს თავიანთი მატერიალური რესურსების თავმოყრა (კრედიტები, გაწყობილობა) სამუშაოთა გადამწყვეთ ნაკვეთებზე და რომელთაც საკმარისი ყურადღება არ მიაქციეს საკომანდო კადრებით და მუშა-ძალით საწარმოთა დაკომპლექტების საქმეს;

ბ) არასაკმარისი ღონისძიებანი მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების სფეროში;

გ) ხშირი დაცადებანი სათბობი მასალით იმ საწარმოთა მომარაგებაში, რომელნიც აწარმოებენ გამოსაწვავ საშენ მასალას;

დ) ტრანსპორტის ნაკლებობა და ფურაჟით არაუზრუნველყოფა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო განსაკუთრებით აღნიშნავს, როგორც ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენას, მიუღ რიგ საწარმოთა და ტრესტთა მიერ საშენი მასალის ფასების თვითნებურად გადიდებას და აგრეთვე ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციისა და ახალსაშენებლის მიერ ადგილობრივი საშენი მასალის გაზვიადებულ ფასად ყიდვას (თირის სავასაცემო ფასი თვითნებურად გადიდებულია 16%-ით, მინქაფა-პუცოლანი—100%-ით, ცეცხლმძლე აგური—5%-ით, კრამიტი—8%-ით და სხვა მისთ.).

III. ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა პირაღებით თავიდან აცილებისა, ადგილობრივი საშენი მასალის 1933 წ. საწარმოო პროგრამის აღსრულების უზრუნველყოფისა და ამ მასალის თვითღირებულების და ფასების შემცირების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საშენი მასალის იმ დიფიციტის დასაფარავად, რაც ხდება იმის გამო, რომ მოწყობილ მრეწველობას არ ძალუძს საეცებით დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ადგილობრივი საშენი მასალისადმი, წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ადგილობრივი საქშენი მასალის წარმოების გაფართოებისათვის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების და სხვა უწყების სისტემისა და აგრეთვე ცალკეულ დიდრონ საშენებელთა (აზნავთი, საქნავთი, ტყვარჩელმშენი და სხვა მისთ.) დახმარებასა;

ბ) გააზუსტონ ადგილობრივი საშენი მასალის საწარმოო პროგრამა ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა ხაზით.

2. ადგილობრივი საშენი მასალის დამმზადებელ საწარმოთა როგორც ნედლეულის, ისე მზაპროდუქციის გადაზიდვისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებათა უზარდის ნაკლებობის გამო—ეთხოვოს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ვასცეს ა/კსფსრ საშენი მასალის მრეწველობის საჭიროებისათვის ორმოცდახუთი სატვირთო ავტომანქანა.

3. ვინაიდან, საჭირო რაოდენობის მაქანიზმებისა და გაწყობილობის საგნების უქონლობის გამო, ა/კსფსრ-ის თვით უდიდეს საწარმოთაც-კი, რომელნიც ადგილობრივ საშენ მასალას ამზადებენ, არ შეუძლიან უზრუნველყონ წარმოება დადგენილ საპროექტო ძალოვნების ფარგლებში,—ალიძრის სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი, რათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებულ იქნეს განაცხადები მექანიზმებისა და გაწყობილობის შესახებ სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) ძიერ 1932 წლის დეკემბერში წირდგენილი განაცხადის თანახმად.

4. აღსანიშნავია—რა ჭაპანზიდვის და ავტოზიდვის მტკიცე ფასების უქონლობა და სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ ჭაპანზიდვის ფასების თვითნებურად დადგენა და გადახდევინება, ხშირად ისეთი რაოდენობით, რაც რამდენჯერმე აღემატება გადასაზიდავი მასალის ღირებულებას,—წინადადება ეძლევა რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააწესონ ორი დეკადის ვადაზე ჭაპანზიდვის და ავტოზიდვის მტკიცე ფასები რაიონებში ტონნა-კილომეტრზე, რისთვისაც ანგარიშში უნდა მიიღონ მანძილის სიშორე, ადგილის რელიეფი, გზების მდგომარეობა და სხვა მისთ..

5. წინადადება მიეცეს იმ სახალხო კომისარიატებს, რომელთაც თავიანთ შედგენილობაში აქვთ საშენი მასალის დამმზადებელი საწარმონი საკუთარი ტრანსპორტით, დაუყონებლივ შეუდგენნ საფურაჟე ბაზისის მოწყობას და გამოკვეთონ საამისოდ საჭირო ასსიგნები.

რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა მიუჩინონ ამ საწარმოთ საამისოდ საჭირო მიწის ნაკვეთები და უზრუნველყონ ისინა სათესლე მასალით.

6. წინადადება მიეცეს საშენი მასალის დამმზადებელ ყველა საწარმოს—დაუყონებლივ დასდვას ხელშეკრულებანი კოლექტიურ მეურნეობებთან ჭაპანზიდვის ტრანსპორტზე, მის მიერ წარმოებული პროდუქციის გადასაზიდვად.

7. წინადადება მიეცეს ყველა იმ უწყებას და ორგანიზაციას, რომელსაც თავის გამგებლობაში აქვს საშენი მასალის დამმზადებელი საწარმო, — დაამთავროს 1933 წლის პირველი ნახევარწლის განმავლობაში 1933 წლის გეგმით გათვალისწინებული საწარმოთა რეკონსტრუქცია და შენება და საამისოდ გაცემული ასსიგნები და საშენი მასალის ფონდები მოახმაროს პირველ რიგში მშენებლობა-დაუმთავრებულ და გაუწყობელ საწარმოთ.

გაცემული სახსარი უნდა იხარჯებოდეს დამტკიცებული ტიტულების სრული შესაბამისობით და არ იყენებოდეს არადანიშნულებისამებრ.

8. რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც ახლადშენებულ, ისე გასაფართოებელ და სარეკონსტრუქციობელ საშენი მასალის დამმზადებელ საწარმოთა ექსპლოატაციის თავის დროზე დაწყება, — გათანაბრებულ იქნენ ეს საწარმონი ფონდირებული და აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალით მომარაგების მხრივ სადამკვერლო საშენებელთა ჯგუფებთან, იმ ობიექტების გარდა, რომლებიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 9-ის დადგენილებით მიჩნეულ არიან საექსპლოატაციოდ გასაშვებ ობიექტებად.

9. ვინაიდან საშენი მასალის მრეწველობის საწარმოთა მისაველი გზები მეტისპეტად ცუდ მდგომარებაშია, კერძოდ: შრომის ცეცხლმძლე ნაკეთობათა ქარხნისა, ხუდონის საალებასტრო სამუშაოებისა, განჯის ქარხნისა, ტევრის აგურის ქარხნისა და კახეთის სახურავი ფიქალისა, აგრეთვე, რადგანაც საამშიზნოდ აღნიშნულ საწარმოთა კაპიტალურ ხარჯებში 1933 წელს გათვალისწინებული ასსიგნები საკმარისი არ არის, — საჭიროდ იქნეს ცნობილი დამატებითი ასსიგნის გადადება ამ საწარმოთა საგზაო მშენებლობისათვის. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში ორი დეკადის ვადაზე უნდა განსაზღვრონ ზემოაღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო კაპიტალური ხარჯების მოცულობა და წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

10. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის შემდეგი ზღვრული საგასაცემო ფასები ფრანკო.-საწარმო ადგილობრივ საშენ მასალაზე, რასაც ამზადებენ რესპუბლიკანური მრეწველობის საწარმონი, ტფილისის სამშენებლო ტრესტისა და ბაქოს სამშენებლო ტრესტის საწარმოთა ჩართვით:

რესპუბლიკები	აგური 1,000 ცალი	ნოვაროვანი ქვა ცალ.	თირი კუბ. მეტრ.	საქორე ქვა კუბ. მეტრ.	კირი ტონა	გაჯი ტონა	ალუმასტრი ტონა	კრამიტი 1,000 ც.	კირ. ასფლ. ტონ.	ხრეში კუბ. მეტრ.	ქვიშა კუბ. მეტრ.
აზერბაიჯანის სსრ	65	150	—	4,5	27,0	—	81,0	—	65	5-7	1-5
სომხეთის სსრ	—	—	15,0	4,0	30,0	—	—	130	—	—	—
საქართველოს სსრ	70	—	—	5,0	50,0	30,0	—	180	—	5,0	—

შენიშვნა. ბაქოს აგურხანის მიერ წარმოებული აგურის ზღვრული საგასაცემო ფასი მიღებულ იქნეს 48 მან. რაოდენობით.

11. სპეცბანკმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაანაღდოს საშენი მასალის შესაძენი ანგარიშ-ფაქტურები, რომლებიც შედგენილია დაწესებული ფასების გადამტებით.

12. სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში უნდა შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე ღონისძიებანი საშენი მასალის თვისების გაუმჯობესებისათვის.

13. ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის ერთიანი დაგეგმვის და მოწესრიგებისა და აგრეთვე საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გააერთიანონ ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის საწარმონი რესპუბლიკანური და ადგილობრივი აღმასკომპური მრეწველობის ხაზით ერთიან რესპუბლიკანურ ტრესტებად და განსაზღვრონ ამ გადიდებული ტრესტების შედგენილობაში ჩასართავი საწარმონი.

14. ზედამხედველობა და პასუხისმგებლობა საშენი მასალის წარმოების ყოველმხრივ განსავეითარებლად საჭირო ღონისძიებათა განხორციელებისათვის ამა დადგენილების შესაბამისად, როგორც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით, ისე სარიაონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და სარეწაო კოოპერაციის ქვემდებარე მრეწველობის და ყველა უწყების და დიდი საშენებლების დამხმარე საწარმოთა მიმართ, აგრეთვე კონტროლი მთლად საშენი მასალის მრეწველობისათვის—დაეკისროს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან ამხ. ჭიჭინაძეს, რომელსაც მიეცეს უფლება ყველა საჭირო დირექტივის და განკარგულების გაცემისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით,

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1933 წ. აპრილის 28.

№ 528

ტფილისი.

